პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 241 (13326) | სამშაბათი, 12 ოქტომბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ნომერში:

- საქართველოს მშრომელები უპატაკებენ სამშობლოს
- მსჯელობენ საწარმოთა ხელმძღვანელები
- ახალი ამგები, ცნობები

გულმოდგინებაა, სიბეჯითე პარტიულ სწავლებაში

დიდი ლენინის პარტია თავისი მორიგი XXIII ყრილობისათვის ემზადება, ყოველი დღე საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში აღსავსეა უმნიშვნელოვანესი მოვლენებით. ძლევამოსილ წინსვლას ნათელი მომავლისაკენ მიუძღვის კომუნისტების პარტია. მისი დროშა, კომპასი და შუქი მარქსიზმ-ლენინიზმია.

კომუნისტთა ძალა ის არის, რომ მათი მოძღვრობის იდეური საფუძველია თანამედროვეობის უველაზე მოწინავე თეორია — მარქსიზმ-ლენინიზმი. ეს მოძღვრება უძლეველია იმიტომ, რომ სწორია. შემოქმედებითმა მარქსიზმ-ლენინიზმმა შეითვისა ყოველივე მოწინავე, რაც კაცობრიობას გამოუმუშავებია. იგი განუწყვეტლივ ვითარდება, მდიდრდება ახალ ისტორიულ მოვლენათა ანალიზის საფუძველზე. მარქსის, ლენინის მოძღვრება იმარჯვებს ჩვენს ცხოვრებაში, მასში განსახიერებას პოულობს ახალი სოციალისტური საზოგადოების მილიონობით მშრომელის პრაქტიკული საქმეები.

პირველ ოქტომბერს ქალაქად დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. ამ ჰეშმარიტად ლენინურ უნივერსიტეტში 15 ოქტომბერს სწავლას შეუდგებიან სოფლადაც. მილიონობით საბჭოთა ადამიანი — კომუნისტები და უპარტიოები დიდი ინტერესით იწყებენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას.

პარტია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომუნისტთა იდეურ წრთობას. ამიტომაც ახალი სასწავლო წლის უველაზე დამახასიათებელი თავისებურება სწორედ ის არის, რომ მეტი ყურადღება მიექცა კომუნისტთა თეორიულ განათლებას, თვითეული წევრის ღრმად შეიარაღება მარქსისტულ-ლენინური თეორიით დღევანდელობის მტკიცე საარსებო აუცილებლობაა. ამას მოითხოვს უველა იმ ამოცანის გადაწყვეტა, რომლებიც მოცემულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებებში. იდეურად რაც უფრო მომზადებული და გამოწრთობილია კომუნისტი, მით უფრო სწორად და ნაყოფიერად ეწევა ის ამ მასებში. ეს ნიშნავს, რომ ეს ადამიანი ეფექტურად ებრძვის ძველ ადათ-ჩვეულებებს, ებრძვის ბორკილებს, ებრძვის ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიას, ებრძვის ბურჟუაზიულ ფილოსოფიას, ებრძვის ბურჟუაზიულ ეკონომიკურ ფორმებს, ებრძვის ბურჟუაზიულ ეროვნულ-ლიბერალურ ელფერ

მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილებანი

მრეწველობის ყველა დარგის მუშაკისათვის უკანასკნელ წლებში ნათელი გახდა, რომ სოციალისტური მრეწველობის განვითარებას რაღაც ბოჭავდა, რაღაც ამუხრუჭებდა. აშკარა იყო, რომ მართვის, დაგეგმვისა და მატერიალური დაინტერესების არსებული სისტემა მოძველებული იყო. ხშირად უბრალო საკითხის მოგვარება — დიდ პრობლემად იქცეოდა, რადგან წინ ეღობებოდა აუცილებელი საფეხური, ბარიერი, ბიუროკრატიული კედელი და სხვ. ასეთ დროს წარმოების ხელმძღვანელებს გული გტეხდებოდა, ამა თუ იმ წამოწყების, ხალისი გეკარგებოდა, რადგანაც დარწმუნებული ვიყავით, რომ ვერ მივაღწევდით სასურველ შედეგს.

ამ რთულ სიტუაციას პარტიამ, როგორც ყოველთვის, სწორად და დროულად აუღო ალღო და გამონახა შესაფერი გასაღები.

ყოველივე ზემოთქმულის ამკარა დასტურად წარმოადგენს თბილისის ქარხანა „გაზაპარატის“ მაგალითი.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 23 იანვარს ნომერში გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა სტატია — „რენტაბელობა და ხარისხი“, სადაც დასმული იყო ქარხნის მტკივნეული საკითხები, რომლებიც მოითხოვდნენ სათანადო რეაგირებას და გადაწყვეტას. საკითხები თითქოს რთული არ იყო, მათ ყველა მხარს უჭერდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეღვნის. შემბმელი არავინ გამოჩნდა.

ყველასათვის ნათელი და ცნობილია გაზის აპარატების დამზადების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა. მოსახლეობა, ცხოვრება ამას ჩვენგან მოითხოვს. ჩვენი ქარხანა, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით მან რიცხობრივად და ხარისხობრივად საგრძნობლად გაზარდა გაზის ხელსაწყოების გამოშვება, მაინც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას. წელს ჩვენ გამოვუშვებთ 35 ათას გაზქურას და 4 ათას წყლის ავტომატურ გამცხელებელს, რესპუბლიკას კი ყოველწლიურად ესაჭიროება 70 ათას ცალზე მეტი. აღარაფერს ვამბობთ საყოფაცხოვრებო მასშტაბით მოთხოვნაზე, სადაც მილიონობით შეიძლება გასაღდეს ჩვენი ქარხნის პროდუქცია.

ცხადი გახდა ისიც, რომ თუ აქამდე მოსახლეობის გაზიფიკაციას თვით გაზის უქონლობა უშლიდა ხელს, ამჟამად ეს პრობლემა ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ უკვე გადაჭრას და ახლა აპარატების მცირე რაოდენობით წარმოება აფერხებს ამ დიდ და საჭირო საქმეს!

საგულისხმოა, რომ უკანასკნელ ოთხ წელიწადში ქარხნის გაფართოების და რეკონსტრუქციის პროექტი ორჯერ იყო შედგენილი და ზემდგომ დისტანციებში განხილული. ახლა პროექტი მესამედ მუშავდება. იგი გულისხმობს ქარხნის სიმძლავრის 4-5-ჯერ გაზრდას. ამისათვის კი საჭიროა წარმოების ძირითადი საშუალებების მხოლოდ ორჯერ გაზრდა. პროექტით ჩვენმა ქარხანამ წლიურად უნდა გამოუშვას 120 ათასი გაზქურა და 50 ათასი წყლის გამაცხელებელი. ეს საშუალებას მოგვცემს, ქართული მარკის ხელსაწყოები ოდროდ გავიტანოთ რესპუბლიკის გარეთ.

სიმართლე უნდა ითქვას, მესამე პროექტის შედგენას ყველა ჰესიმისტურად და პასიურად ეკიდებოდნენ. გვეკითხოდა, რომ ან პროექტს. დაკვიწუნებდა ვინმე ან ფულს არ გამოგვიყოფდნენ.

პლენუმის გადაწყვეტილებებმა კი ეს გუნება მთლიანად შეგვიცვალა, მიღებული დირექტივების თანახმად საშუალება გვექნება უშუალოდ მივიღოთ ბანკიდან სესხი და დროთა განმავლობაში დავფაროთ იგი. საორიენტაციოდ დაგვჭირდება 1 მილიონ მანეთამდე სესხის აღება, რომ განვახორციელოთ პროექტი და ავიღოთ ჩვენს ტერიტორიაზე არსებული ბარაკები. ამ თანხას კი ქარხანა სრული სიმძლავრით ამუშავების მომენტიდან რამდენიმე წელიწადში დაფარავს.

პარტიის დირექტივების გონივრულობა იქიდანაც მტკიცდება, რომ აქამდე ეცილობდათ რაც შეიძლება მეტი ფული მაგვეცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომლის დაფარვას არავინ არ გვთხოვდა. ახლა, როცა სესხს ავიღებთ, ვეცდებით იაფი დაგეგროდეს ქარხნის გაფართოება-რეკონსტრუქცია, რათა ადვილად გაეისტუმროთ ეალი.

ქარხანა „გაზაპარატის“ ხელმძღვანელობამ მრავალჯერ დაუყენა საკითხი ქარხნის სპეციალიზაციის შესახებ. ქარხანაში ამჟამად გაზის აპარატების პარალელურად მზადდება 35 სახის მომრნახენებელი ჯურჯელი. ასეთი მრავალი სახეობის პროდუქციის გამოშვება ძალზე უშლის ხელს ახალი ტექნიკის დანერგვას, ავტომატიზაციას, ხარისხის გაუმჯობესებას და სხვ.

თავისუფლად შეიძლებოდა ჯურჯლის წარმოების გადატანა და მისი კონცენტრირება მეორე მექანიკურ ქარხანაში, სადაც ამჟამად ალუმინის ჯურჯელს აწარმოებენ.

„ეს ღონისძიება აუცილებელი და გადაუდებელია. იგი დიდად შეუწყობს ხელს ორივე ქარხნის სპეციალიზაციას, მათ ტექნიკურ აღჭურვილობას და პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას. ეს იქნება პარტიის დირექტივების კონკრეტული განხორციელება.

არ შეიძლება გვერდი აუარო ჯურჯლის წარმოების დაგეგმვის არასწორ პრაქტიკას. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში, ე. ი. გაზის აპარატების სერიულად გამოშვების დღიდან ქარხანა სისტემატიურად ვერ ასრულებს ჯურჯლის დამზადების გეგმას, რის გამო კოლექტივს ეკარგება ჯილდოების მიღების საშუალება. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ წარმოებას „ზევიდან“ უგეგმავდნენ დაუსაბუთებელ ციფრს — 800 ტონა ჯურჯელს წელიწადში, მაშინ როდესაც ჩვენ ვადგენთ 600 ტონის პროექტს.

გარდა ამისა, ყოველად გაუმართლებელია დაგეგმვა ტონობით(?). ამ შემთხვევაში ქარხანა ცდილობს გეგმა შეასრულოს დიდი წონის ჯურჯლით, როგორიც არის ტაშტები, ვედროები, დიდი ქვაბები, და თავს არიდებს ისეთი პატარა აუცილებელი ჯურჯლის წარმოებას, როგორიც პატარა თეფშები, ტოლჩები, ჩაიდნებია. შემთხვევითი როდია, რომ ეს უკანასკნელი ბაზარზე არ მოიპოვება, მაშინ როდესაც დიდი წონის ჯურჯელი ქარხნისა და მაღაზიის საწყობებშია ჩაწოლილი!

საჭიროა ჯურჯლის წარმოება დაიგეგმოს საგაჯრო ორგანიზაციისა და ქარხანას შორის ხელშეკრულების საფუძველზე, ასორტიმენტის გათვალისწინებით.

სექტემბრის პლენუმის სისრულეში მოყვანა საგრძნობლად გააუმჯობესებს ქარხნის ეკონომიკას, წარმოების კულტურას, ტექნიკურ დონეს.

ჩვენს ქარხანას დაგეგმილი აქვს 187 ათასი მანეთი მოგება. აქედან 90 ათასი მანეთი უკითხავად მიჰქონდა სამმართველოს. ამიერიდან კი ამ თანხის ბატონპატრონი თვითონ ქარხანა ხდება, ამ სახსრით ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს როგორც წარმოების, ისე მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

გვინდა შევეხოთ ტრანსპორტის საკითხსაც. ჩვენი აზრით, ავტოტრანსპორტის ხარჯები პირდაპირ „ატყავებდა“ წარმოებას. მაგალითად, ყოველთვიურად სატვირთო ავტომანქანებში გადადგენენ 1.500 მანეთს. ანგარიშით საესებით გეყოფნის 4 სატვირთო ავტომანქანა. ეს მანქანები ქარხნის საკუთრება რომ ყოფილიყო, მათი მოვლა-შენახვა დაგვიჯდებოდა 500 მანეთი, ე. ი. სამჯერ ნაკლებ! მარტო ამ ღონისძიებით ჩვენი ქარხანა 12 ათასი მანეთის ეკონომიას მიიღებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი ქარხნის სასარგებლოდ გადაწყდება!

უკანასკნელ წლებში კერიოზული მდგომარეობა შეექმნა საწარმოთა მსუბუქი მანქანებით მომსახურების საქმეში. ბევრ დირექტორს საერთოდ არა აქვს მსუბუქი მანქანა, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ზოგს კი ფორმალურად აქვს გამოყოფილი გამოძახების ე. წ. ლიმიტები. მაგალითად, ჩვენს ქარხანას აქვს 0,25 ლიმიტი, ანუ საშალოდ დღეში 15 კილომეტრი, საერთო გარაჟიდან 8 კილომეტრია. ქარხნიდან გარაჟამდე იწერება 16 კილომეტრი. ამრიგად, ყოველდღიური ლიმიტი ცარიელ მისვლა-მოსვლაში იხარჯება. ასე ტყუილუბრალოდ იფანტებოდა საწარმოო სახსრები.

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

პლენუმის გადაწყვეტილებები გვიკარნახებს სრული პასუხისმგებელი ვიყოთ მოწყობილობის, მასალების შენახვისა და მათი რეალიზაციისთვის. ეს გვაიძულებს წარმოების ხელმძღვანელებს მეტი სერიოზულობითა და ეკონომიური მოშურნეობით მივუდგეთ მატერიალურ ფასეულობათა რაციონალურად გამოყენებას. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენმა სამმართველომ ჩვენი ფულით ქუთაისის ქარხანას (?) უყიდა 5.400 მანეთად ღირებული შემდეგებელი აპარატი.

ანდა ქარხნებში გამოუყენებელი მასალა ეწყო და მკვდარ კაპიტალს წარმოადგენდა. მისი გაყიდვის უფლება სამმართველოს ნებადაურთველად არავის ჰქონდა. სამმართველო კი სრულ უდარდელობას იჩენდა, მას არც ჰქონდა ამის ფიზიკური საშუალება, ამრიგად, მრავალი მილიონი მანეთის მასალები უმოძრაოდ იყო ჩაწოლილი საწარმოებში.

დარგობრივი სამინისტროების შექმნა საგრძნობლად გააადვილებს კოოპერირების საკითხს, რადგან მათში გაერთიანებული იქნება მონათესავე დარგის საწარმოები.

აღფრთოვანებას იწვევს ხელფასის ფონდის გამოყენებისა და მატერიალური დაინტერესების საკითხები. ჩვენ, დირექტორებს, უფლება არა გვქონდა ხელფასზე 10 მანეთი დაგეკლო ან მოგეემატებინა. შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს ის პრაქტიკა, როდესაც ახლად მოსული ინჟინერი და 10-15 წლის ნამსახური სპეციალისტიც ერთნაირ ხელფასს იღებენ. ანდა ზოგიერთს ძალიან იოლი სამუშაო აქვს, ზოგი კი დღეს და ღამეს ასწორებს, ხელფასი კი ერთნაირი აქვთ. აქ აშკარად ხდება შეუსაბამობას, გინდა გამოსწორო, მაგრამ „დაწყევლილი შკალა“ უფლებას არ გაძლევს.

ამ საკითხში დასახული ღონისძიებანი ხელს შეუწყობს დისციპლინის განმტკიცებას და ადგილზე კადრების დამაგრებას. უფლება გვექნება ნამსახურობისათვის ჩვენი სახსრებიდან დავაწეროთ დანარიცხები, დავაინტერესოთ მუშები და მოსამსახურეები ხარისხის გაუმჯობესებით, რიტმულობის დაცვით და სხვ.

სექტემბრის პლენუმის მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამართლებული დადგენილებები ბევრ უფლებას, დიდ ნდობას გვაძლევს და პასუხისმგებლობას გვაკისრებს წარმოების ხელმძღვანელებს.

ეს გვავალებს ყოველი ღონით უზრუნველვყოთ საბჭოთა მრეწველობის შემდგომი სწრაფი აყვავება, კომუნისტური შშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

შ. ჯაფარიძე,
თბილისის ქარხანა „გაზაპარატის“ დირექტორი.

ტიბაანურია!

რეპორტაჟი

ვიბაანში, ამ ორიოდე კვირის წინათ რთველი დაიწყო. ზვრებში დილადან ღამემდე არ წყდება შრომა. სამასამდე ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ბეჯითად მუშაობს. კოლმეურნეები თინა და ქეთევან ხატიაშვილები, თამარ ზუთაშვილი თუ სხვები დღეში 400-500 კილოგრამ უურძენს კრეფენ. გეგმა კი ამის ნახევარს ითვალისწინებს.

ტიბაანელები ყურძნის სიუხვით ხარობენ. 151 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახიდან ერთი ჰექტარიც არ არის ისეთი, საიდანაც გეგმის გადამეტებით 10-15 ცენტნერს არ კრეფდნენ. მოსავალი ყველა ბრიგადაში უხვია, მაგრამ ბრიგადას, რომელსაც ვლადიმერ ხუციურაული ხელმძღვანელობს, მაინც ვერავინ შეედრება. ამ ბრიგადას აქვს 38 ჰექტარი ვენახი. გეგმით თვითეულ ჰექტარზე სამოცი ცენტნერი უნდა მოკრიფოს. ფაქტიურად ოთხმოცდაათს აჭარბებს. ეს მევენახეების ნ. კოროტაშვილის, შ. სომხიშვილის, მ. ქერაშვილის და სხვების სიბეჯითის შედეგია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლევან დოლმაზაშვილის უბის წიგნაკში ვკითხულობთ:

3. ჯალიაშვილი და სხვები დღეში ათოხუთმეტჯერ ესტუმრებიან ღვინის ქარხანას.

— მოსავალს ხომ არ ემდურიან? სახელმწიფოსათვის უურძნის მიყიდვის დავალებას თუ შეასრულებენ?

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბეგიაშვილმა ღიმილით გვითხრა:

— სიბეჯითემ გაგვაბარა, ყურძნის ასეთი მოსავალი სხვა დროს თითქმის არა გვქონია. გეგმით სახელმწიფოს ექვსი ათასი ცენტნერი ყურძენი უნდა მივიყიდოთ. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შვიდი ათას ცენტნერს მივიყიდით.

პარტიული ბიუროს მდივანმა ა. ბეგიაშვილმა თავის უბის წიგნაკს ჩახედა, ციფრები შეაჯამა და თავმჯდომარის ნათქვამს დაუმატა:

— მეტი იქნება. ბევრი მევენახე ორმაგად ასრულებს ყურძნის მოსავლიანობის დავალებას.

კოლეგიურობა ნაამაგარით დატვირთული ავტომანქანებისა და ურმების ქარავანი ოქროს მედალოსანი ღვინოს „ტიბაანის“ სამშობლოს — ტიბაანის ღვინის ქარხნისაკენ მიდის. თეთრხალათიანი მასპინძლები გულუხვ სტუმრებს ხელგაშლილი ხვდებიან. დაშაქრულ ყურძენს ზუსტად წონიან, სიტკბოს ამოწმებენ და ბუტებისაკენ ისტუმრებენ.

„ტიბაანი“. ეს სახელმოხვეჭილი ღვინო, რომელიც ლალისფერია და არომატული, დიდ მოწონებას იმსახურებს. ამიტომ იყო, რომ ბრიუსელში ჩატარებულ დაგეგმარებაზე ვერცხლის მედალი მიიღო, წელს თბილისში კი ოქროს მედალი დაისაკუთრა. ტიბაანელ მეღვინეებს მედალმა ჯილდომ უფრო დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა. „ტიბაანის“ შემდგომი გამშვენიერებისათვის ისინი ენერგიას არ ზოგავენ.

ტიბაანისა და ძველი ანაგის ნოყიერი ნიადაგები, რომლებიც წლის მეტ დროს მცხუნვარე მზით არის გამთბარი, რქაფითელს ათამამებს, უურძენი დიდძალ შაქარს აგროვებს. მისგან მიღებულ წვენს ტიბაანელი მეღვინეები ქვევრებში ახ�მენ. დეკემბერ-იანვარში ჭაჭიდან პირველ ფრაქციას მოხსნიან და სუფთა, გარეცხილ ქვევრებში ასხამენ. შემდეგ კი გურჯაანის ღვინის ქარხანაში გზავნიან. „ტიბაანი“ აქ ერთ წელიწადში „ავეკაცდება“. შემდეგ თბილისის პირველი და მოსკოვის ღვინის ქარხნები „ტიბაანით“ მშრომელთა სუფრას ამშვენებენ.

ტიბაანის ღვინის ქარხანა მომზადებული შეხვდა სეზონს. წელს ხუთასი ახალი ქვევრი ჩაყარეს. თვრამეტი ათასი დეკალიტრას ტევადობის მუხის ბუტები გაკეთდეს. წინათ ბუნკერებიდან საჭესლეტ მანქანაში ყურძნის ჩაყრა ხელით ხდებოდა. წელს მექანიზებულად წარმოებს. ამით დიდძალი მუშახელი გათავისუფლდა. მანქანა-დანადგარები შეუფერხებლად მუშაობენ, დღეში 200-250 ტონა ყურძენი იწურება. გეგმით 3.600 ტონა ყურძენი უნდა გადამუშავონ, მაგრამ ოთხი ათასზე მეტიც, რომ მიიტანონ უკან არ გაუბრუნებენ.

ქარხანა მოწინავე ადამიანებით ამაყობს. გუგული ოჩიტნიკოვი თექვსმეტი წელია, რაც „ტიბაანის“ დაუღალავი ეზოსტრეა. ხად არ უმუშავნია — ქარდანაში, ბურჯაანში, ანაგაში, მაგრამ არსად არ შერცხვენილა. ახლა ტიბაანელ მეღვინეებს მეთაურობს. იგი ქებით იხსენებს ქიმიკოს გ. ტუხაშვილს, მეღვინეებს ო. მეკელდარეშვილს, მ. ფერაძეს, მუშებს ს. აბულაშვილს, ა. ალადაშვილს, ბ. გოგაშვილს, გ. ზედელაშვილს და სხვებს. მათ წლევანდელი მოსავლიდან 90 ათასი დეკალიტრი „ტიბაანი“ უნდა გაგზავნონ დასაძველებლად. დანარჩენი ღვინო რვა ნომრის მასალა იქნება.

ქარხანაში უკვე 3.348 ტონა ყურძენი გადამუშავდა. „ტიბაანის“ ნაკადულები ქვევრებში მიჩუხჩუხებს.

გ. სიმონიშვილი.

* * *

სურათზე: რთველი სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობაში. წინა პლანზე ბრიგადირი ვლ. ზუცურაული.

ფოტო მ. თელიაშვილისა
(საქმესის ფოტოქრონიკა).

ფიზიკოსთა საშემოდგომო სკოლა

თელავი, 11 ოქტომბერი. (საქმესი). აქ მუშაობა დაიწყო ფიზიკოსთა საშემოდგომო სკოლამ. ეს სკოლა მოიწვიეს სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტმა. ამ სკოლის მასწავლებლები არიან წამყვანი საბჭოთა და უცხოელი მკვლევარები, რომლებიც მყარი სხეულის ფიზიკის დარგში მუშაობენ.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ასზე მეტმა ახალგაზრდა მეცნიერმა დაიწყო კრისტალების დეფექტებისა და მყარი სხეულების რადიაციულ დაზიანებათა თეორიის შესწავლა.

მყარი სხეულის თეორიული ფიზიკის ასეთი სკოლა მოიწყო პირველად. მისი ინიციატორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ანდრონიკაშვილი.

კრისტალური სხეულების თითქმის ყველა სახარგებლო თვისება უდევს საფუძვლად ტექნიკის თანამედროვე მიმართულებათა განვითარების (მანქანამშენებლობას, ელექტრონიკას, გარკვეული თვისებების მქონე საშენ მასალათა მიღებას და სხვ.). ამ თვისებებს განსაზღვრავს კრისტალების დეფექტთა ტიპები და მდგრადობა. ამიტომ ფიზიკოსების მიზანია შეისწავლონ ეს თვისებები, მასალათა განმტკიცების შესაძლებლობანი და გამტართა სრულყოფა.

თელავის სკოლის მონაწილენი მოისმენენ კრისტალების სხვადასხვა ტიპის დეფექტების შესახებ ლექციების კურსს. კერძოდ შეისწავლიან იმ „დარღვევებს“, რომლებიც განსაზღვრავენ შენადნობთა ზეგამტარობის ახალი თვისებების წარმოშობას. ეს პრობლემა ფიზიკოსთა ყურადღების, ცენტრშია, რადგან ზეგამტარების მიღება დაბალი ტემპერატურის დროს თუნდაც თხევადი ჰელიის მინუს 180 გრადუსი ტემპერატურის ტემპერატურაზე, ენერგიის ეკონომიას ნიშნავს. ... ეს ... ადამიანს შეძლებს ყოველ მანძილზე გადასცეს ენერგია ... ეფექტურად. ... ეს ... ძალიან დიდი ძაბვის მაგნიტური ველი. ზეგამტარობის დარგში თეორიულ კვლევის საბჭოთა სკოლა ერთ-ერთი წამყვანია მსოფლიოში. ამ თემაზე ლექციებს წაიკითხავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. აბრიკოსოვი.

მყარი სხეულის ფიზიკის დარგის თვალსაჩინო სპეციალისტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. ლიფშიცი წაიკითხავს ლექციების ციკლს დეფექტიანი კრისტალების ენერგეტიკული სპექტრის შესახებ. პროფესორი გ. ხუციშვილი წაიკითხავს ლექციებს კრისტალური გისოსის დეფექტებზე მაგნიტური რეზონანსის შესახებ.

მყარ სხეულებში ნეიტრონებისა და იონიზებული რადიაციის შედეგად წარმოშობილი დეფექტების თეორიას მიეძღვნება ამერიკელი პროფესორების ი. ჰოლმსის, ჯ. ვინიარდისა და პროფესორ ა. ზეგეერის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ლექციები.

მთელ რიგ მოხსენებებს საექსპერიმენტო კვლევის შესახებ წაიკითხავენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ანდრონიკაშვილი, პროფესორები მ. კორნფელდი და ვ. როგანსკი.

თელავის საშემოდგომო სკოლაში მეცადინეობა კრისტალების დეფექტებისა და რადიაციული დაზიანების თეორიის საკითხებზე 29 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

მედიკოსები მსხელობენ სიცოცხლის პრობლემებზე

თერაპევტთა საკავშირო კონფერენციაზე

11 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო თერაპევტთა XIV სრულიად საკავშირო კონფერენციამ. კონფერენცია მოიწვიეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საბჭოთა კავშირის თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოებამ.

კონფერენციაში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ჯმდ-ზე ნეტი მეცნიერი მედიკი.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ლ. საყვარელიძემ.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ნესტეროვი.

პირველ დღეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. რისმა წაიკითხა მოხსენება „არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტის პრობლემა“. კოლიტის კლინიკასა და მკურნალობას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები ქართველმა მეცნიერებმა გ. კვიტაშვილმა და ს. ჯაფარიძემ. კონფერენციამ მოისმინა სხვა მოხსენებები.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, საქართველოს სსრ მთავარმა თერაპევტმა, პროფესორმა ვ. ქავთარაძემ საქმესის კორესპონდენტს უთხრა:

— ჩვენი ქვეყნის თერაპევტთა კონფერენცია ყოველწლიურად ეწყობა. ყოველი მათგანი განიხილავს მედიცინის ერთ აქტუალურ პრობლემას. ახლანდელი კონფერენციის დღის წესრიგშია შინაგან დაავადებათა, კერძოდ წყლულოვანი კოლიტის პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემა. ეს მძიმე სნეულება საკმაოდ ხშირია, მისი დიაგნოსტიკა და მკურნალობა კი მნიშვნელოვან სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

სამი დღის განმავლობაში კონფერენცია მოისმენს 80 მოხსენებას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილე ვ. მ. სირაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე დ. ვ. ლაშქარაძე.

(საქმესი).

მეან-გინეკოლოგთა სიმპოზიუმი

ამ დღეებში თბილისში მუშაობა დაამთავრა პირველმა სიმპოზიუმმა მეანობაში ჯაკუუმ-ექსტრაქტორის გამოყენების საკითხზე. იგი მოიწყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებისა და თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიური კათედრის ინიციატივით.

მეანთა მისწრაფებაა გართულებული მშობიარობის დროს გამოიყენონ სამუალანები, რომლებიც გაადვილებენ მშობიარობას და ამით შეამცირონ ნაყოფის მკვდრადშობადობისა და დედის ტვინის ტრავმული დაზიანების შემთხვევები. უკანასკნელ წლებში სამეანო პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა ოპერაცია — ჯაკუუმ — ექსტრაქციის მეთოდი.

ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული მეთოდის დანერგვასა და გავრცელებას ხელი შეუწყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიურ კათედრაზე პროფესორ კ. ჩაჩავას ხელმძღვანელობით (კ. ჩაჩავა, პ. ვაშაკიძე) ჩატარებულმა კლინიკურ-ექსპერიმენტალურმა გამოკვლევებმა, რის შედეგადაც ამ მეთოდმა მიიღო ღრმა მეცნიერული დასაბუთება. ელექტროფიზიოლოგიურ მა გამოკვლევებმა (კ. ჩაჩავა, ო. ბუჯიაშვილი, პ. კიტტარია, თ. გელაძე) ობიექტურად დაასაბუთეს სამეანო მაშასთან შედარებით ჯაკუუმ-ექსტრაქტორის ნაკლები ტრავმული გავლენა ნაყოფსა და დედაზე.

სიმპოზიუმის მუშაობაში, ჩვენი რესპუბლიკის მეან-გინეკოლოგებს გარდა, მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის სამეანო-გინეკოლოგიურ დაწესებულებათა წამყვანმა სპეციალისტებმა, მოანებმა, პედიატრებმა, ნევროპათოლოგებმა, მათ შორის სსრკ სამედიცინო აკადემიის ნამდვილმა წევრმა მ. მალინოვსკიმ.

სიმპოზიუმის პირველ სხდომაზე თავმჯდომარედ აკადემიკოსი მ. მალინოვსკი. მოხსენება თემაზე: „მეანობაში ჯაკუუმ-ექსტრაქტორის გამოყენების საკითხისათვის“ გააკეთა პროფესორმა კ. ჩაჩავამ. მოხსენებას ერთვოდა კლინიკურ-ექსპერიმენტალურ ა რ ე გამოკვლევების შედეგების დემონსტრირება.

საინტერესო მასალა წარმოადგინა ლენინგრადელმა პროფესორმა ი. კლენიცკიმ თავის მოხსენებაში — „ჯაკუუმ-ექსტრაქტორის გამოყენება მეანობაში საკავშირო სამედიცინო აკადემიის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის მასალების მიხედვით“.

მოსმენილ იქნა აგრეთვე სსრკ სამეანო-გინეკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორის რ. კალენგანოვას მოხსენება თემაზე: „ახალშობილთა გენეზოთარების უახლოესი და შორეული შედეგები ჯაკუუმ-ექსტრაქციის შემდეგ“.

სიმპოზიუმის მეორე სხდომაზე, რომელსაც პროფესორი ა. უსტიაშვილი თავმჯდომარეობდა, მოსმენილ იქნა აკადემიკოს მ. მალინოვსკის (მოსკოვი), პროფესორების ა. უსტიაშვილის, მ. პაპიტაშვილის, პ. შუშანიას, გ. ასათიანის, ბ. კოპალეიშვილის, დოცენტ თ. გელაძის, ასისტენტ გ. ნიკურაძის (თბილისი), პროფესორების ბ. კობოზევას (ლენინგრადი), ა. მარკარიანის (ერევანი), ხ. მურზალიევას (ალმა-ათა) და სხვების საინტერესო ჯამოსვლები.

თავიანთ სამოლოო სიტყვებში პროფესორებმა ი. კლენიცკიმ და რ. კალგანოვამ აღნიშნეს პროფესორ კ. ჩაჩავას მოდიფიკაციის ჯაკუუმ-ექსტრაქტორის სერიული გამოშვების აუცილებლობა.

ა. ოდიშარია.

სიგნალები, შენიშვნები

ეწყინებათ, დაგვსჯიან...

მატარებლის გასვლის მოლოდინში მგზავრებს საუბრისათვის უამრავი თემა გამოუნახავთ. ზოგი შემოდგომის ბარაქასა და სიუხვეზე ლაპარაკობს, ზოგნი თავიანთი შვილების სწავლა-განათლებაზე და, ვინ იცის, კიდევ რა.

— ამ ოცდაათი წლის წინათ, — ამბობს ერთი, — ჩალაუბნის აღმართზე შემანქანემ თურმე სოფლისაკენ წინდის ქსოვით მიმავალი ქალი შენიშნა და წაყვანა შესთავაზა ქალმა ეარი უთხრა — მეჩქარება, ფეხით წავალო. ახლა ნახეთ, ჩიტიც ვერ უსწრებს ჩვენს ელექტრომატარებელს. ხამდარელად ავდგი საქმეო, დაასკვნა ბოლოს.

კიდევ ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვინ დაიჯერა

— გეტყობა, შენ ერთხელ იმგზავრე და ბედმა გაგიღიმა, — ჩაერია მეორე. — ხშირად მატარებელი ერთ-ორ საათს უქმად გვაკარგვინებს. შენ ის არ გინახავს, დაზიანებულ ელექტრომატარებელს ორთქლმავალი ქშენით რომ მიათრევს.

მართალია, დაომოწმეს აქეთ-იქიდან და ახეთისაკენ მიმავალი ელექტრომატარებლის უწესივრობის უამრავი ფაქტი დაასახელეს.

თელავისაკენ მატარებლის გასვლის დრო მოახლოვდა. მემანქანე გ. ბერაძე, რომელმაც მატარებელი ბარდავნიდან მოიყვანა, ბაქანზე გადი-გამოდიოდა, შემცველს ეძებდა. თავის თანაშემწეც აფორინა, მაგრამ მემანქანე არ ჩანდა. გავიდა 10, 20, 30 წუთი და, როგორც იქნა, მონახეს მემანქანე, რომელიც გრაფიკით საშუალო ან უნდა გამოსულიყო. მატარებელი გრაფიკით დადგენილი 17 საათსა და 25 წუთის ნაცვლად 18 საათსა და 15 წუთზე დაიძრა. სადგურებში ელექტრომატარებელი 2-4 წუთს უნდა ჩერდებოდეს, ფაქტიურად 10-15 წუთს ჩერდება. — რატომ ჩერდებით დიდხანს? — ეკითხებიან მგზავრები მემანქანეს.

— გრაფიკიდან ამოვვარდით, გარდა ამისა, ჩვენზე წინ ბურჯაანისაკენ გასული ელექტრომატარებელი დაზიანდა, ორთქლმავალს მიჰყვეს სანამ იგი წინა სადგურიდან არ მოვა, ჩვენ გასვლის უფლება არა გვაქვს.

ასე იყო თუ ისე, ელექტრომატარებელი № 237 თელავში 20 საათისა და 49 წუთის ნაცვლად 22 საათსა და 30 წუთზე მივიდა. ოთხასამდე მგზავრმა დიდძალი დრო დაკარგა!

ეს მოხდა თერმეტ სექტემბერს.

იკითხავთ — იქნებ მარტო ამ დღეს ძოხდა ასეთი შემთხვევა?

არა! საბწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ახეთისაკენ მიმავალი ელექტრომატარებლები ხშირად იგვიანებენ. მიმდინარე წლის სამ აგვისტოს № 237 ელექტრომატარებელი თელავში 31 წუთის დაგვიანებით მივიდა, 21 აგვისტოს — 27 წუთის დაგვიანებით. 13 აგვისტოს № 235 ელექტრომატარებელმა 47 წუთი დაგვიანა, 18 აგვისტოს — 42 წუთი.

ხდება ასეც. თელავში მატარებელი გვიან მიდის, მაგრამ სადგურის მორიგეები ჟურნალში სწერენ, რომ მატარებელი თითქოს გრაფიკით დადგენილ დროს მივიდა. 14 სექტემბერს № 237 მატარებელი თელავის სადგურში ექვსი წუთის დაგვიანებით მივიდა. სადგურის მორიგემ ზ. მახნაშვილმა ტელეფონის ყურმილი აიღო და რკინიგზის თბილისის განყოფილების ახეთის ოხანის დისპეჩერს ლილუაშვილს მატარებლის დაგვიანებით მისვლა აცნობა. ლილუაშვილმა კატეგორიულად მოსთხოვა მორიგეს, რომ მისვლის დრო გრაფიკის მიხედვით ჩაეწერა რატომ?..

მატარებლის დაგვიანებით მისვლას ჟურნალში ზოგჯერ არ აღნიშნავს სადგურის მორიგე გ. არსენიძე. როცა ეკითხეთ, ასე რატომ იქცევიო, გეიპასუხა:

— თუ მატარებლის მოსვლა გრაფიკის მიხედვით არ ჩაეწერეთ, „ზევით“ ეწყინ

საერთაშორისო ცხოვრება

სტუმრად ლაიპციგში

ბერლინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტები პავლე ბელიაევი და ალექსი ლეონოვი გუშინ ლაიპციგის სტუმრები იყვნენ. პავლე ბელიაევი გაეცნო ამ ქალაქის ლირსშესანიშნაობებს — შენობას, რომელშიც ლენინური „ისკრის" სტამბა იყო მოთავსებული, გოორგი დიმიტროვის მუზეუმს, ტექნიკური ბაზრობის ტერიტორიას, ხალხთა ბრძოლების ძეგლებს. შემდეგ იგი ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის ერთ-ერთ ქვედანაყოფს.

გუშინ, ადგილობრივ სახალხო წარმომადგენლობათა არჩევნების დღეს, ალექსი ლეონოვი იყო ქალაქის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში.

სალამოს საბჭოთა სტუმრები ეწვიენენ გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის ერთ-ერთ ნაწილს, რომელშიც ექვსი წლის წინათ მსახურობდა ალექსი ლეონოვი. (საკდესი).

გაიხსნა ჩილის კომპარტიის XIII-ე ყრილობა

სანტიაგო, 11 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გუშინ გაიხსნა ჩილის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობს ასობით დელეგატი ქვეყნის ყველა რაიონიდან, მრავალი უცხოელი სტუმარი, მათ შორის საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. პ. კირილენკო მეთაურობს.

ყრილობა, რომელიც 17 ოქტომბრამდე გასტანს, განიხილავს პარტიის პოლიტიკურ ხაზს, საშინაო მდგომარეობას, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, მიიღებს გადაწყვეტილებას პარტიის წესდების შეცვლის შესახებ.

ვაშინგტონს ეწვია მ. სტიუარტი

ვაშინგტონი. ვაშინგტონს ჩამოვიდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. სტიუარტი. იგი გამართავს მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან დ. რასკთან. როგორც პრესა იუწყება, მოლაპარაკების დროს მ. სტიუარტი და დ. რასკი განიხილავენ საკითხებს, „თუ რატომ ჩაიფუშა ლონდონის მოლაპარაკება სამხრეთ როდეზიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, განიხილავენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის — ვიეტნამის, ინდონეზიის, მალაიზიის მდგომარეობას, ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტს.

განვამტკიცოთ ეერთობა

ვარშავა, 11 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტები ვ. კუზნეცოვი და ი. მასლენნიკოვი გვატყობინებენ: პროფკავშირთა VI მსოფლიო კონგრესის დელეგატები გუშინ განიხილავდნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანის მოხსენებას მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის თანამედროვე განვითარებისა და მისი ერთობის განმტკიცების შესახებ.

პირველმა სტიუა წარმოთქვა მაურის კუნენენის შრომის ფედერაციის წარმომადგენელმა ლ. ბაფრიმ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფორუმმა უნდა გამოძებნოს ეფექტიანი საშუალებანი იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის მეთაურმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

თავისი არსებობის წლებში, თქვა ვ. ვ. გრიშინმა, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ უდიდესი მუშაობა გასწია მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის მთელი პროგრესული ძალების შეკავშირებისათვის. მისი საქმიანობა ხელს უწყობდა კოსმოპოლიტური ინტერესებისათვის, ექსპლოატაციის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მშრომელთა ბრძოლის განვითარებას.

იმპერიალისტური სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც საერთაშორისო ქაოდარმის სამარცხვინო როლი იკისრეს, არ ერიდებიან დანაშაულის ჩადენას, რადაც უნდა დაუჯდეთ ადამიანებს შეაჩერონ ალგერიის ბრძოლა, განაცხადა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა.

მშვიდობისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, აღნიშნა ვ. ვ. გრიშინმა, საყოველთაო წინააღმდეგობა გავუწიოთ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა მთავარი მოკავშირის, — დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის რევანშისტულ მისწრაფებებს. საბჭოთა ხალხი გადაჭრით მოითხოვს კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის სრულ ლიკვიდაციას.

ვ. ვ. გრიშინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროფკავშირული მოძრაობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობაა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შემდგომი განმტკიცება.

მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ვ. ვ. გრიშინმა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას გადასცა საბჭოთა პროფკავშირების საჩუქარი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მარმარილოს ქანდაკება.

**სამხრეთ როდეზიის პროფკავშირთა წარმომადგენელმა ა. სვენენგა

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

შეეოქმედების დიდ გზაზე

ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა წარმატება

საკავშირო კომპოზიტორთა კავშირის სამდივნომ და გამგეობამ მოსკოვში მოაწყეს გაფართოებული სხდომა, რომელზეც მოისმინეს და საჯაროდ განიხილეს ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ახალგაზრდა კომპოზიტორებს დედაქალაქში ახლდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი კომპოზიტორი **ალექსი მაჯავარიანი.**

ი რა გვიამბო მან:

— მოსკოვში, კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოსა და გამგეობის ამ გაფართოებულ სხდომაზე მოიწვიეს სამი ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორი **ნ. მამისაშვილი, გ. ყანჩელი და ნ. გაბუნია.** რამ განაპირობა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულსა და პირადად ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა ცხოვრებაში? სულ რამდენიმე თვის წინ მოეწყო ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული, რომლის დროსაც მრავალ სხვა ნაწარმოებთან ერთად მოისმინეს ნ. მამისაშვილის, გ. ყანჩელისა და ნ. გაბუნიას ნაწარმოებები, რომლებმაც მსმენელთა დიდი მოწონება მოიპოვა. მაშინ ჩვენში სტუმრად იყვნენ საბჭოთა კავშირის თოქმის ყველა რესპუბლიკისა და აგრეთვე საზღვარგარეთის კომპოზიტორები, მუსიკისმცოდნენი. სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა კომპოზიტორების ნ. მამისაშვილის, გ. ყანჩელისა და ნ. გაბუნიას შემოქმედებას. ამ ნაწარმოებთა რეპონანსი გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. გერმანიის კომპოზიტორთა კავშირისა და მუსიკისმცოდნეთა წარმომადგენელი მანფრედ შუბერტი გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგში" წერდა:

„არ შემიძლია არ აღვნიშნო ნ. მამისაშვილის წარმატება კონცერტი როიალისა და კამერული ორკესტრისათვის. რესპუბლიკაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ეძებს ახალ გზებს მუსიკალურ ხელოვნებაში. მათ საკმაოდ ოსტატურად და იდეურად გამართული ბევრი ნაწარმოები წარმოგვიდგინეს, რომლებიც მსმენელებმა დადებითად და ზოგჯერ კი აღტაცებითაც მიიღეს. მისასალმებელი იქნებოდა, თუ ზოგი მათგანი ჩვენთანაც შესრულდებოდა". მოეწონათ ჩვენი ახალგაზრდების ნაწარმოებები სტუმრებს პოლონეთიდან, იუგოსლავიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან.

მოსკოვში ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა ფირზე ჩაწერილი ნაწარმოებების მოსასმენად მოვიდა დედაქალაქის მუსიკალური საზოგადოება, კომპოზიტორები **დ. შოსტაკოვიჩი, ტ. ხრენიკოვი, დ. კაბალევსკი, რ. შჩედრინი,** დედაქალაქის პრესისა და რადიოს წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა ნ. მამისაშვილის საფორტეპიანო პიონერული კონცერტი, რომელსაც ასრულებდა ნორჩი პიანისტი ა. თორაძე და საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი გ. აზმაიფარაშვილის დირიჟორობით, გ. ყანჩელის ორი სიმფონიური პიესა, „ალეგრო" და „ლარგო", რომლებიც შეასრულა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიურმა ორკესტრმა ჯ. კახიძის დირიჟორობით, და ნ. გაბუნიას „იგავ-არაკი" სულხან საბას ტექსტზე სამი ვოკალისტი ვაჟისა და კამერული ანსამბლის შესრულებით.

ნაწარმოებთა მოსმენის შემდეგ გაიმართა ფართო მსჯელობა-დისკუსია, რომელიც დიდხანს გაგრძელდა, იყო საქმიანი და პრინციპული.

კომპოზიტორმა **დ. შოსტაკოვიჩმა** თქვა: ქართული საბჭოთა პროფესიული მუსიკა ინტენსიურად ვითარდება. ნაცად კომპოზიტორთა რიგებში მოვიდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები და მოიტანეს ახალი თვისებები. შინაარსით, გამომსახველობითა და ოსტატობით მთი შემოქმედება თანამედროვე მუსიკის ერონის სიმაღლეზეა. ინტელექტუალობა, შინაარსის სიღრმე — აი მათი მუსიკის დამახასიათებელი თვისებები. კარგია, რომ ეს ნაწარმოებები მოკლებულნი არიან გარეგნულ ეფექტურობას, მანერულობასა და სენტიმენტალურ მგრძნობელობას.

კომპოზიტორმა **რ. შჩედრინმა** აღნიშნა, რომ პროფესიული მუსიკის სიღრმისა და სიწმინდის ფესვები ხალხურ შემოქმედებაშია. დიდად სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორები მუყაოდ დგანან ამ ეროვნულ ნიადაგზე და ამიტომ მათს შემოქმედებას სასიცოცხლო ძალა არ მოაკლდება.

სიტყვები წარმოთქვეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა ვ. ფეტრემ, მუსიკისმცოდნემ გ. პოლიანოვსკიმ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ლ. მაზელმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა დ. კაბალევსკიმ.

დისკუსიის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებას და ერთხმად გამოთქვეს სურვილი საკავშირო კომპოზიტორთა კავშირის მომავალ პლენუმზე შესრულდეს ნ. მამისაშვილის, გ. ყანჩელისა და ნ. გაბუნიას ნაწარმოებები.

მხატვარი, თეატრი, კინო

გაიხსნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების თეატრის და კინოს მხატვართა თათბირი

ბუშინ შ. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების — სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს თეატრისა და კინოს მხატვართა თათბირმა, რომელიც განიხილავს თანამედროვე სპექტაკლებისა და კინოფილმების მხატვრული გაფორმების ძირითად პრინციპებს. თათბირს ესწრებიან სტუმრები მოსკოვიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა შჩუსევმ. შეკრებილთ მიესალმნენ საქართველოს. თეატრალური ხელოვნების მუშაკთა სახელით თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. ანთაძე, კინემატოგრაფიის მუშაკთა სახელით კინოდრამატურგი კ. ბოგოლუბ.

შემდეგ მოხსენებები წაიკითხეს მ. პოტარსკაიამ (მოსკოვი), ი. ანდრონიკაშვილმა (თბილისი) და ლ. ხალათიანმა (ერევანი). სიტყვებით გამოვიდნენ მოსკოველი მხატვარი ბ. ბოგოლუბი და საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი მ. ახვლედიანი.

საღამოს თათბირის მონაწილეები მიიწვიეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში", დღეს თათბირი მუშაობას განაგრძობს.

10 ოქტომბერს სურათების გალერეაში გაიხსნა საქართველოს თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. აქ წარმოდგენილია 50-ზე მეტი ოსტატის 600 ნამუშევარი — 20-იანი წლებიდან. მომდინარე თეატრალურ სეზონამდე — დადგმების დეკორაციების ესკიზები, კოსტიუმები, ტიპაჟები.

გამოფენის გახსნის ინიციატივა ეკუთვნის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, თეატრალურ საზოგადოებას, მხატვართა კავშირსა და სურათების სახელმწიფო გალერიას.

გამოფენა მიეძღვნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების თეატრისა და კინოს მხატვართა თათბირს.

თბილისი. სანაპირო. ფოტო ა. ვართანოვისა.

ავიაგილეთი ნახევარ ფასად

მომდინარე წლის 15 ოქტომბრიდან 15 ივნისამდე ეროფლოტმა შემოიღო ავიაბილეთების 50 პროცენტის ფასდაკლებით გაყიდვა. ამ შეღავათით სარგებლობა შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების დღის, საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტებს, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფტექგანათლების სასწავლებლების მოსწავლეებს, უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტებს, საშუალო სკოლის, აგრეთვე საშუალო სპეციალური მუსიკალური და სამხატვრო სკოლების მოსწავლეებს 12 წლის ასაკს ზევით, სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებს, სამხედრო და სამოქალაქო სასწავლებლების კურსანტებს.

ეს შეღავათი დაწესებულია ტუ-114, ტუ-104, ტუ-124, ილ--18, ან-10, ან-24 ტიპის თვითმფრინავებით ფრენისას.

800 მანეთი პილოგრამი... რძე

სწორედ ასეთ უმაგალითო შემოსავალს აძლევს კილოგრამი რძე კურსკის ოლქის კოლმეურნეობა „ისკრას". საიდუმლოება ის არის, რომ ეს რძე... ფუტკრისაა და არა ძროხისა.

კოლმეურნეობის გამგეობამ მეფუტკრეობის ინსტიტუტთან დადო ხელშეკრულება ნატივური სადედე რძის წარმოებაზე. ფუტკრის 185 ოჯახიდან მეფუტკრეებმა შეარჩიეს ათი ყველაზე ძლიერი, შეუქმნეს მათ სპეციალური პირობები. კვებავდნენ მაჭრის სიროფითა და ნარევით, რომელშიც თაფლი და სხვა უკეთილნი ნივთიერებები შედიოდა. რამდენად რთული და ძნელია ეს შრომა, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ თვითეული სადედიდან 250 მილიგრამზე მეტ რძეს ვერ იღებდნენ. მაგრამ მუშაობა ასამაგად ანაზღაურდა — ფუტკრის სამ კილოგრამ რძეში კოლმეურნეობამ 2400 მანეთი მიიღო. (აან).

ს. მეტრეველის ორი გუნდი

„დინამო" (თბილისი) — **„ტორპედო"** (ქუთაისი) — 2:0 (0:0). **თბილისის „დინამოს" სტადიონი. 11 ოქტომბერი. მსაჯი ნ. არილოვი** (სუიბიშევი).

„დინამო" — **ურუშაძე, სიკინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი** (რეხვიაშვილი), **ბართიშვილი, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, იამანიძე, დათუნაშვილი.**

„ტორპედო" — **კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე.** (ებრალიძე). **წვერავა, ზარია, ჯანშიეთი, ასიტაშვილი, ვეკუა, ბაუალია, ჩხარტიშვილი, ნოდია.**

თითქმის პირველი ორმოცდაათი წუთის განმავლობაში ბურთი ცენტრში ტრიალებდა. ჩვენი სტუმრები მასპინძლებთან შედარებით უფრო ინგრტულად გამოიყურებოდნენ.

მეორე ნახევარი არსებითად განსხვავდებოდა პირველისაგან. ბრძოლის მსვლელობას ტონი ჩემპიონმა მისცა. უკვე პირველი ხუთი წუთის განმავლობაში სულ ცოტა სამჯერ მოუხდა კვასხვაძეს თაკარა ოსტატობა ეჩვენებინა.

ჩემპიონის შეტევები სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდება. მეათე წუთზე დათუნაშვილი კარგად გადის მარწინაღმდგომ მცველთა შორის, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მას უხეშად ეთამაშებიან. მსაჯმა ნ. კრილოვმა 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა. მეტრეველის დარტყმა მარჯვენა დაბალ კუთხეში ზუსტი იყო — 1:0.

ჩემპიონი განაგრძობს იერიშს. სტუმართა კარი განუწყვეტლივ საფრთხეშია, მაგრამ დინამოელთა ფორვარდები ვერ ამთავრებენ კომბინაციებს. კარგად თამაშობს სტუმრების მეკარე კვასხვაძე.

36-ე წუთზე, თითქმის ცენტრში, ბურთი მეტრეველმა მიიღო. მან უკან ჩამოიტოვა ქუთაისელთა მცველები და მეტად ეფექტური გოლი გაიტანა — 2:0. ეს ანგარიში თამაშის ბოლომდე არ შეცვლილა.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა 1:0. ბურთი ნაჯუყებიამ გაიტანა.

მეორე ხგუფში

გუშინ გაიმართა მორიგი მატჩები „ა" კლასის მეორე ჯგუფში იმ გუნდებისათვის, რომლებიც 1-16 ადგილებისათვის იბრძვიან. აი მათი შედეგები:

„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)-„დაუგავა" (რიგა) — 3:1, „ვოლგა" (გორკი)-„ეალგირისი" (ვილნიუსი) — 2:3, „ავანგარდი" (ხარკოვი)-„კარპატი" (ლვოვი) — 1:1, „მოლოდოვა" (ეიშინიოვი)-„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — 0:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი)-„შინიკი" (იაროსლავლი) — 1:2, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი)-„ავარატი" (ალმა-ათა) — 0:1, „შახტიორი" (ყარაგანდა)-„ზარია" (ლუგანსკი) — 1:0, „არარატი" (ერევანი)-„ტერეკ" (გროზნო) — 3:1.

დღეისათვის ამ ჯგუფში ერთმანეთზეა ლიდერი კვლავ ერევნის „არარატია" სომეხ ფეხბურთელებს 28 ქულა აქვთ.

ბარტია ვერ შეიდგა

რიგიდან ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა გვაცნობა, რომ ჭადრაკში მსოფლიოს პირველობის მატჩის მეცხრე პარტია ნ. გაფრინდაშვილ-ა. კუშნირს შორის არ შემდგარა პრეტენდენტის ავადმყოფობის გამო.

ამრიგად, ა. კუშნირმა მესამე შესვენებაც გამოიყენა. დებულების თანახმად მას უფლება აღარ აქვს კვლავ გადადოს შეხვედრა. მეცხრე პარტია, რომელშიც პრეტენდენტი თეთრებით ითამაშებს, გაიმართება ოთხშაბათს, 13 ოქტომბერს,

ფურნირი ჟოვენკაკაგენში

დანიის დედაქალაქში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. დაწინაურდა საბჭოთა გროსმაისტერი ა. სუეტინი, რომელმაც ბოლო სამ შეხვედრაში დამარცხა უნგრელი გროსმაისტერი გ. ბარტა და დანიელი ოსტატები ბ. ანდერსენი და ო. იაკობსონი.

შვიდი ტურის შემდეგ ლიდერია ა. სუეტინი. მას 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს ს. გლიგორიჩს, 4,5 ქულა — მ. ტაიმანოვს.

ანგარიშია 5:3

კვირას თბილისს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ასეულოვანი შაშში მსოფლიოს პირველობის მატჩის მეშვიდე პარტია ვ. ჩიკოვლესა და ი. კუბერმანს შორის.

თეთრებით პრეტენდენტი თამაშობდა, მან ხელთ იგდო ინიციატივა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი თავს ზუსტად იცავდა და მიუხედავად ციტნოტისა შეძლო ყაიმისათვის მიეღწია.

გუშინ მეტოქეები კვლავ შემოუსხდნენ შაშს. მაგრამ, ამჯერად შეხვედრა რუსთაველში გაიმართა. ი. კუბერმანმა შავებით ძლიერად ჩაატარა შეხვედრა და გაიმარჯვა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 5:3 პრეტენდენტის სასარგებლოდ.

სპორტული ქრონიკა

☐ **ერევანში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ტრეკზე ველოსიპორტში. თასის მფლობელი გახდა „დინამოს" კოლექტივი, მეორე ადგილზე ცსკა გამოვიდა, მესამეზე — „ბურევესტნიკი".

☐ **თბილისში** ასპარეზობდნენ ამერანეთისა და საქართველოს სტუდენტი ჩოგბურთელები. როგორც პირველ, ასევე მეორე დღეს გამარჯვება მასპინძელთა მხარეზე იყო. მატჩის ანგარიში — 7:2 მასპინძელთა სასარგებლოდ.

☐ **ალმა-ათაში** დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში ქალთა შორის. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ამ პირველობაზე მეორე ოქროს მედლები მოიპოვეს ი. და თ. პრესებმა; ირინე უძლიერესი იყო ხუთჯიდში (5208 ქულა), თამარი კი ბადროს ტყორცნაში (55,46). საკავშირო რეკორდი დაამყარა მ. იტკინამ 400 მეტრზე რბენაში. ჩემპიონმა 52,9 წამი აჩვენა.

☐ **სსრ** კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ვენდი დანიასთან თამაშის შემდეგ 17 ოქტომბერს, სოფრანგეთში გაემგზავრება და იქ შეხვდება ადგილობრივ კლუბებს: 20 ოქტომბერს—„ვალანსიენს" და 22 ოქტომბერს — „სტად ფრანსეს". საფრანგეთიდან ჩვენი ფეხბურთელები ბერლაპირ კარდიფს გაფრინდებიან, სადაც უკანასკნელი მატჩი ექნებათ მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ტურნირში უელსთან. საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოს საბჭოთა ნაკრები ბრაზილიას გაემგზავრება. 21 ნოემბერს რიო-დე-ჟანეიროში სსრ კავშირ-ბრაზილიის მატჩია დანიშნული.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა ვუძღვნა ორგანიზაციებს და ცალკეულ პირებს, რომლებმაც მომილოცეს დაბადების 70 და საქმიანობა, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი.

პროფესორი პ. შუშანია.

დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი აცხადებს:

დახურულ კონკურსს

საუკეთესო საგუნდო სიმღერებზე (სამხმიანი გუნდისათვის და ოთხხმიანი ქალ-ვაჟთა შერეული გუნდისათვის, რეგორც აკომპანემენტით, ისე ა კაპელა).

სიმღერები დაწერილი უნდა იყოს რუსთაველის ამ რუსთაველისადმი მიძღვნილ ტექსტებზე (ხალხური და ავტორისეული).

კონკურსზე ნაწარმოებთა წარმოდგენა ხდება დეკემბერ. ნაწარმოებს თან უნდა ახლდეს კონკერტი იმავე დეკემბის აღნიშვნით, ხოლო კონკერტში უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი.

საკონკურსო მასალები უნდა გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: **თბილისი, რუსთაველის პრ. № 19, ოთახი 28, საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი. „კონკურსისათვის".**

სიმღერების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1965 წლის 1 დეკემბერი.

საუკეთესო სიმღერებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები

ერთი პირველი პრემია — 300 მანეთი
ორი მეორე პრემია — 200 მანეთი.
სამი მესამე პრემია — 100 მანეთი.

პრემირებული და რეკომენდებული ნაწარმოებნი შეძენილი იქნება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1965 წლის 23 ოქტომბერს დღის 2 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ., 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გივი ივანეს-ძე სურამლიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ტალღების კინეტიკა სუსტადტურბულენტურ პლაზმაში".**

23 ოქტომბერს დღის 4 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ., 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გურამ შალვას-ძე ქევანიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ელექტრომაგნიტური ტალღების დიფრაქცია პერიოდულ სტრუქტურებზე".**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

კულტურის კერებში

△ **სიღნაღი.** (საკ. კორ.). სიღნაღის კულტურის სახლთან შეიქმნა თოჯინების თეატრი, რომელიც დაკომპლექტებულია ახალგაზრდა მსახიობებით. მერენტის პიესა „ბატი" დადგა რეჟისორმა ჯ. ზეელაძემ, მხატვრულად გაფორმრმა ვ. ჰოტარაღოვსკა�და გ. დანიელაშვილმა. ეს არის თეატრის პირველი წარმოდგენა.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები მ. ჭინჭარაული, ა. ბეგაშვილი, ჯ. მგელაძე, ლ. ბუჩუკური და შ. ჯაფარიძე. ნორჩი მაყურებელი კმაყოფილი დარჩა.

◆

△ **ლაგოდეხს** სტუმრად ეწვია ფოთის ვალერიან გუბიას სახელობის სახელმწიფო თეატრი, რომელმაც მასპინძლებს უჩვენა ფრ. ხალვაშის „გაზაფხულის ცრემლები", ა. გუნაძის „ბზე ცრემლში", ი. ანუშიძის „ვინ არის დედა", ჯ. ქარჩხაძის „დევიძეების ტაიბული. (საკ. კორ.). „ადრების სამკვედლო" ასე უწოდებენ ქალაქ-ს პროფტექნიკურ სასწავლებელს. რომელსაც დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა. ამ დღეებში ტყიბულის სახოგადოებრიობამ საზეიმოდ აღნიშნა ეს საიუბილეო თარიღი.

თავისი არსებობის პერიოდში სასწავლებელმა მოამზადა და ჩვენი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებს, მახტებსა და მშენებლობებს მისცა 20 სხვადასხვა პროფესიის 12000 მეშა.

სასწავლებელი ამჟამად ამზადებს გამყვანებს, დურგლებს, მლესავებს, ელექტროზეკალებს, ჯალატოზებს, ელმავლის მეანქანეებს, ექსკავატორიოკეანი" და გ. ბერიაშვილის „ტირიფები მტკვრის პირად".

თეატრმა სპექტაკლები უჩვენა რაიონის ბევრი სოფლის მშრომელებს.

ლ. ჯუფელაშვილი.

◆

△ **ტყიბულის** ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კლუბთან არსებულმა დრამატულმა კოლექტივმა უკანასკნელ ხანს მოამზადა და ამ შეხვედრებს უჩვენა სპექტაკლები: „ყვარყვარე თუთაბერი", „ბატარა კახი", „პროფესია", „ძველის ტკვეშეში", „სადიპლომო სპექტაკლი", „ბლახის ნაამბობი", „სამი უბედური" და სხვ. — სულ 30 პიესა. დრამატულმა კოლექტივმა სპექტაკლები უჩვენა ახალსოფლის, საჩინოს, ხრეულის, ცუცხვათის, გურნის, ოჯოლის, ციხიის, სოჩხეთის და სხვა სოფლების მშრომელებს.

ნ. ჯინჯიხაძე.

კადრების სამჭედლო

ყნის ფაბრიკა-ქარხნებს, მახტებსა და მშენებლობებს მისცა 20 სხვადასხვა პროფესიის 12000 მეშა.

სასწავლებელი ამჟამად ამზადებს გამყვანებს, დურგლებს, მლესავებს, ელექტროზეკალებს, ჯალატოზებს, ელმავლის მეანქანეებს, ექსკავატორებისა და ბულდოზერის მემანქანეებს. სამ წელზე მეტია, რაც სასწავლებელს ფილიალი აქვს გახსნილი ენგურჰესის მშენებლობაზეც, სადაც 100 ახალგაზრდა დიდი ინტერესით ეუფლება, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის რთულ საქმეს.

ს. მეტრეველის ორი გუნდი

„დინამო" (თბილისი) — **„ტორპედო"** (ქუთაისი) — 2:0 (0:0). **თბილისის „დინამოს" სტადიონი. 11 ოქტომბერი. მსაჯი ნ. არილოვი** (სუიბიშევი).

„დინამო" — **ურუშაძე, სიკინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი** (რეხვიაშვილი), **ბართიშვილი, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, იამანიძე, დათუნაშვილი.**

„ტორპედო" — **კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე.** (ებრალიძე). **წვერავა, ზარია, ჯანშიეთი, ასიტაშვილი, ვეკუა, ბაუალია, ჩხარტიშვილი, ნოდია.**

თითქმის პირველი ორმოცდაათი წუთის განმავლობაში ბურთი ცენტრში ტრიალებდა. ჩვენი სტუმრები მასპინძლებთან შედარებით უფრო ინგრტულად გამოიყურებოდნენ.

მეორე ნახევარი არსებითად განსხვავდებოდა პირველისაგან. ბრძოლის მსვლელობას ტონი ჩემპიონმა მისცა. უკვე პირველი ხუთი წუთის განმავლობაში სულ ცოტა სამჯერ მოუხდა კვასხვაძეს თაკარა ოსტატობა ეჩვენებინა.

ჩემპიონის შეტევები სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდება. მეათე წუთზე დათუნაშვილი კარგად გადის მარწინაღმდგომ მცველთა შორის, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მას უხეშად ეთამაშებიან. მსაჯმა ნ. კრილოვმა 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა. მეტრეველის დარტყმა მარჯვენა დაბალ კუთხეში ზუსტი იყო — 1:0.

ჩემპიონი განაგრძობს იერიშს. სტუმართა კარი განუწყვეტლივ საფრთხეშია, მაგრამ დინამოელთა ფორვარდები ვერ ამთავრებენ კომბინაციებს. კარგად თამაშობს სტუმრების მეკარე კვასხვაძე.

36-ე წუთზე, თითქმის ცენტრში, ბურთი მეტრეველმა მიიღო. მან უკან ჩამოიტოვა ქუთაისელთა მცველები და მეტად ეფექტური გოლი გაიტანა — 2:0. ეს ანგარიში თამაშის ბოლომდე არ შეცვლილა.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა 1:0. ბურთი ნაჯუყებიამ გაიტანა.

მატჩეგი და შედეგები

კვირას და გუშინ გაიმართა მორიგი მატჩები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის პირველ ჯგუფში.

კვირას მოსკოვში ცსკა-მ დაამარცხა დონეცკის „შახტიორი" — 1:0.

გათამაშების ლიდერს მოსკოვის „ტორპედოს" შეხვედრა ლენინგრადში ადგილობრივ „ზენიტთან" ჰქონდა. თამაშის ბედი გადაწყვეტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ტორპედოელმა ბატანოვმა გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

ლიდერთა ჯგუფის მეორე წარმომადგენელი, კიევის „დინამო" თავის მინსკელ თანაკლუბელებს ხვდებოდა საკუთარ მოედანზე. უცხოელმა ფეხბურთელებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით — 3.0.

◆

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 12 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	ფ.	ბ.	ქ.
„ტორპედო" (მ.)	26	17	6	3	41—17	40
„დინამო" (ქ.)	25	16.	6	3	47—17	38
„დინამო" (თბ.)	26	13	7	6	32—18	33
ცსკა	25	11	8	6	28—16	30
„ზენიტი"	27	9	10	8	30—26	28
სპა (რ)	26	8	12	6	30—26	28
„დინამო" (მ)	26	8	11	7	29—23	27
„დინამო" (მბ.)	25	9	9	7	27—22	27
„სპარტაკი"	25	7	10	8	20—20	24
„პახტაპორი"	25	7	10	8	24—30	24
„ძრ. სოვეტოვი"	24	8	7	9	31—28	23
„ჩერნოზემორეცი"	26	8	7	11	32—35	23
„ლოკომოტივი"	27	8	7	12	37—43	23
„ნოფტიანიკი"	26	9	5	12	24—31	23
„ზენიტიორი"	25	6	10	9	22—25	22
„ტორპედო" (ქ.)	26	6	2	18	20—58	14
სპა (ოდ.)	26	2	5	19	15—51	9

თეატრები

12 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — უკრაინის სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (საღ. 8 ს.). **რუსთაველის** სახელობის დიდი დარბაზი — სიბრძნე სოცრეალა (მე-15 და გაკვდენილი ბრონეტენტები), **მარჯანიშვილის** სახელობის — ალბერის ხმალი (მე-12 ბრონ. მე-8 წარმოდგენა). **გრიბოედოვის** სახელობის — მელოდია, ვასო აბაშიძის სახელობის **მუსიკალური კომედიის** — სტუდენტები, **ფილარმონიის** ხაზოფსული — სომხეთის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის კონცერტი (საღ. 8 ს.). **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოქროთი სავსე ტეკეკანა (№ 18 ბრონ. საღ. 6 ს.).

ტელევიზია

12 ოქტომბერი

11.00 — „ჩვენ ისგლისურს ვსწავლობთ" (მეცხრე გაკვეთილი), 11.20 — დოკუმენტური ფილმი, 12.20 — ფილმი-სპექტაკლი „ბაზაფხული მოსკოვში", 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის „მზეტრიალა" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 18.50—მოსწავლეთათვის — „გიუვარდეთ მუსიკა", 19.20 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ" (მეცხრე გაკვეთილი), 19.40 — „ინონანრკეევ", 19.50 — გადაცემა „ბმირთა ნაკვალევზე", 20.10 — „პლენუმის გადწყვეტილებათა სასასუნოდ", 20.30 — გადაცემა ციკლიდან „ქართული თეატრის მოღვაწენი" — „ეფიალსორი, ალექსანდრე თაყაიშვილი, 20.50 — „მსოფლიო დღეს" (გადმოცემა მოსკოვიდან). 21.20 — ახალი ამბები, 21.35 — ფილმი-კონცერტი „ალექსეი კრივენკოზე", 22.25 — გადაცემათა პროგრამა 13 ოქტომბრისათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ლიტერატურული სამშაბათი (გადმოცემა ლენინგრადიდან).

რადიო

12 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

09.15 — რიმსკი-კორსაკოვ-ს რომანსები, 11.15 — ნაწილები ქართველ კომპოზიტორთა ოპერებიდან, 12.30 — გადაცემა ციკლიდან — „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში", 12.45 — „უკრავს ელექტრომუსიკალურ საკრავთა ანსამბლი", 13.10 — მოცარტი. მეორე კონცერტი ვიოლონჩელოსა და ორკესტრისათვის, 13.40 — ესპანური სიმღერები, 14.00 — დ. შოსტაკოვიჩი. მეხუთე სიმფონია (მოსკოვი). 17.15 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 17.40 — გადაცემა ყველაზე პატარებისათვის — ლაპარაკობს რადიოსადგური „ცოცინათელა", 18.10 — კონცერტი — „მღერის მარია მენდრუსი", 18.45 — კონცერტი — „უკრავს ი. ფლიერი". 19.30 — „მელოდიათა ლენინური უნივერსიტეტი" — (ტრანსლაცია მოსკოვიდან), 20.15 — არიები ოპერებიდან. ზ. ანჯაფარიძის შესრულებით. 20.30 — რადიოგაზეთი ახალგაზრდობისათვის, 21.00 — „ძილისპრელი", 21.15 — ო. თაქთაქიშვილი. ვოკალურ-სიმფონიური პოემა „ცოდვა და მდინარე", 22.00 — მეკროფონთან ახალგაზრდა პოეტები, 23.30 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები.

ჩუ ვიუსოთ, ჩუ ეოვისეილოთ

საქართველოს სსრ კალათბურთის ფედერაცია
სპორტის სასახლე
13-14 ოქტომბერი 1965 წ.
კალათბურთი
საერთაშორისო შეხვედრები ვაუთა გუნდებს შორის.
13 ოქტომბერს
„ფენერბახჩე"—„ბურევესტნიკი"
თურქეთი — თბილისი
14 ოქტომბერს
„ფენერბახჩე" — „დინამო"
თურქეთი — თბილისი
დასაწყისი 20 საათზე.
ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.
ტელ. 7-20-34, 7-20 02, 7-